საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1793
18/05/2022

1793-21-2-202205181536

სს „აჭარის წყლის ალიანსს“
მის: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. N129 ბლოკი B მე-3 სართული
ელ.ფოსტა: lnfo@awa.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 26 აპრილის N10276 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადება, რომელიც ეხება ხულოს მუნიციპალიტეტში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და წყალარინების სისტემის მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს: კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისთვის – საჯარო რეესტრიდან ამონაწერი. წარმოდგენილ დოკუმენტაციას აღნიშნული ამონაწერი არ ახლავს. ამასთან, თქვენ მიერ წარმოდგენილი ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი და ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმატივების პროექტი მატერიალური ფორმით წარმოდგენილია მხოლოდ თითო ეგზემპლარად.

ამასთან, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორია, სადაც დაგეგმილია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა წარმოადგენს ხულოს მუნიციპალიტეტის საკუთრებას. გზშ-ის ანგარიშს უნდა ერთოდეს მუნიციპალიტეტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს სს „აჭარის წყლის ალიანსის“ მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო